არჩილის „გაბაასება კაცისა და სოფლისა" ბაროკოს ეპოქის ადამიანის კონცეფციის ასპექტში

XVII-XVIII საუკუნეების ევროპული ლიტერატურა და ხელოვნება ისტორიული განვითარების განსაკუთრებულ ეტაპს წარმოადგენს; ამ დროს აღმოცენდა და განვითარების კულმინაციას მიაღწია ისტორიულ-კულტურულ და ფილოსოფიურ-ესთეტიკურ კატეგორიათა კომპლექსმა, რომელსაც შემდგომში ბაროკო ეწოდა; ამ ტერმინით ხან სტილი, ხან მიმდინარეობა, ხან მთელი ეპოქა იწოდებოდა.

ბაროკოს პრობლემათა შესწავლის თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მისი მიმართება სხვა ისტორიულ-კულტურულ ეპოქებთან.

დროის მიხედვით, გენეტიკურად ბაროკო ერთი მხრივ – რენესანსის, მეორე მხრივ კი კლასიციზმის მომიჯნავეა: რენესანსი – ბაროკო – კლასიციზმი; ტიპოლოგიურად კი შუა საუკუნეებსა და რომანტიზმს უახლოვდება: შუა საუკუნეთა ლიტერატურა – ბაროკო – რომანტიზმი. დ.ს. ლიხაჩოვმა ბაროკოს შესწავლის აუცილებლობის საკითხი გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს დააყენა და წერდა, რომ „ბაროკოს ისტორიული მიმართება, ბაროკოს საზოგადოებრივი მნიშვნელობა არა ნაკლებ საყურადღებოა, ვიდრე მისი ფორმალური ნიშნები. „ბაროკოს" ცნება არა მხოლოდ ფორმალურ-ტიპოლოგიურია, არამედ კონკრეტულ-ისტორიული" [7, 188].

თუ რენესანსის ძირითადი ჰუმანისტური იდეით ადამიანი თავისი ბუნებით კეთილია და დიადი საქმეებისათვის არის შობილი, გვიანი ჰუმანიზმი უკვე ეჭვის ქვეშ აყენებს დოქტრინას ადამიანის კეთილი ბუნებისა და მის უსაზღვრო შესაძლებლობათა შესახებ. აღსანიშნავია, რომ ბაროკოს შემოქმედებმა გააღრმავეს რენესანსის ეპოქის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი რეალობის კრიტიკული ასახვა, მაგრამ ახლა მას მისი ყველა ტრაგიკული წინააღმდეგობებით წარმოაჩენდნენ. მათ შემოქმედებაში არ იყო სინამდვილის ის იდეალიზაცია, რომელსაც რენესანსის მწერლები მაშინ მიმართავდნენ, როდესაც ცდილობდნენ წარმოედგინათ, თითქოს მათმა იდეალებმა ცხოვრებაში რეალიზება და გამარჯვება ჰპოვეს. საზოგადოებისა და ბუნების ჰარმონიული განვითარების რენესანსულ იდეას მოვლენათა ლოგიკის თანახმად არსებული სინამდვილის დისჰარმონიით გამოწვეული ბაროკოს ეპოქის პესიმისტური შეგრძნება ჩაენაცვლა. ადამიანის ყოვლისშემძლეობის რენესანსულ-ჰუმანისტური წარმოდგენა შეცვალა ადამიანის უძლურების იდეამ დაამარცხოს ბოროტება, რომელიც სუფევს სამყაროში და რომელიც ამახინჯებს ადამიანს. შესაბამისად, ბაროკოს შემოქმედის თვალით დანახული სამყარო მოკლებულია იმ მდგრადობასა და ჰარმონიას, რომლის თავის გარემოში აღმოჩენისკენაც რენესანსის მოღვაწეები ისწრაფოდნენ.

მსოფლმხედველობითი რღვევა სწორედ ამით დაიწყო: იგი თანდათან სულ უფრო ღრმავდებოდა და სწორედ ამიტომ ბაროკოს ავტორებთან უკვე ვეღარ ვხვდებით სიცოცხლის ხალისს, ადამიანის გამარჯვების რწმენას, სულ უფრო და უფრო ძლიერდება პესიმიზმის, სკეპტიციზმის, ამქვეყნიური ცხოვრების წარმავლობის მოტივები. დომინანტური ხდება ადამიანის მიერ იმის შეგნება, რომ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა მარცხისთვისაა განწირულია. თავად ბაროკოს შინაარსისა და მასთან ერთად ლიტერატურული სტილის ცვლილება განაპირობა ისტორიული სინამდვილის თვისობრივმა ცვლილებამ – რენესანსის ხანის დასრულებამ. ტრაგიზმისა და წინააღმდეგობათა დაუძლეველობის შეგნებამ ბაროკოს მწერალთა ნაწარმოებებში წარმოშვა პესიმიზმი და ზოგ შემთხვევებში – მწარე სარკაზმიც.

რა ვითარებაა ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში? ბაროკოს ცნება ამ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა, მაგრამ მისი არსებითი მხარე ზუსტად შენიშნა კ. კეკელიძემ: „აღორძინების ხანის ლირიკა გადმოგვცემს ავტორთა უშუალო აზრებს, გრძნობებსა და განცდებს, იმაში უმთავრესად წარმოდგენილია ჩვენში მაშინდელი მწერლობის ორიგინალური შემოქმედება და ამ მხრივ ჯეროვანი ყურადღების ღირსიცაა. სამშობლოს აწინდელი მდგომარეობა და ცხოვრების უკუღმართობა ღრმად აფიქრებდა მწერლებს და იწვევდა „საწუთროს სიმუხთლის" შესახებ სალაპარაკოდ, რომელსაც ისინი არკვევდნენ ან რელიგიურ-ფილოსოფიური, ან პრაქტიკულ-მორალური თვალსაზრისით" [6, 549].

ქართულ ლიტერატურაში შექმნილი ეს ახალი განწყობილება ე.წ. „აღორძინების" პერიოდის ლიტერატურისა კორნელი კეკელიძემ კონკრეტულად მიუთითა თეიმურაზ პირველის, არჩილისა და დავით გურამიშვილის შემოქმედებათა ასპექტში. ამ ახალ მოტივს, ახალ განწყობას

მან „სოფლის მდურვა" უწოდა: „**მდურვა სოფლისა** არა როგორც გაკვრით გამოთქმული მოტივი, რომელიც ჩვენი ცხოვრების პირობების მიხედვით, განუყრელი თანამგზავრია თითქმის მთელი ჩვენი ძველი მწერლობისა, არამედ **როგორც მთლიანი, დამოუკიდებელი თხზულება**, ისეთი, როგორიცაა თეიმურაზის უკვე ზემოთ ნახსენები ორი ნაწარმოები. ამ მიმართულებით თეიმურაზს გამოუჩნდნენ ისეთი მნიშვნელოვანი მიმდევრები, როგორებიც არიან არჩილ მეფე და დავით გურამიშვილი" [6, 571].

თუ რენესანსის არსი ანტიკური იდეალების აღორძინებაში მდგომარეობდა და მის შემოქმედებს სიცოცხლე ხალისით აღსავსედ ესახებოდათ, ბაროკოს ადამიანი თავსდატეხილ უბედურებათა მიზეზის ძიებას შეუდგა, რასაც ადამისა და ევას ცოდვით დაცემაში მიაკვლია და თავისთვის აღმოაჩინა, რომ სწორედ ამის გამო არის ცხოვრება ასერიგ აუტანელი, დაუნდობელი და ცვალებადი. სწორედ ცხოვრების ცვალებადობამ, მისმა გაუთავებელმა მეტამორფოზამ დააკარგვინა მას მყარი ორიენტირების იმედი. ბაროკოს ადამიანის ცხოვრებისადმი ამგვარ მიდგომაში კარგად იკვეთება მისი რადიკალური განსხვავება რენესანსის ადამიანისაგან: ჰუმანისტური იდეით იგი ხომ გვირგვინია შემოქმედისა, ბაროკოს პერიოდის ლიტერატურისათვის კი დამახასიათებელია ის მსოფლშეგრძნება, რომ ადამიანი არ არის სრულყოფილი, „იგი მხოლოდ ქარში მთრთოლვარე ლერწამი და უბადრუკი ცოდვილია" [4, 102].

ბაროკოს ეპოქის ზოგიერთ მოაზროვნეს მიაჩნდა, რომ ადამიანს არ ძალუძს, არ შესწევს ძალა დაამარცხოს ბოროტება და სიავე, რომელიც სამყაროში სუფევს და რომელიც ამახინჯებს მის პიროვნებას. ამიტომაც იყო, რომ ზოგიერთ შემოქმედი, უარყოფდა რა ჰუმანისტების თეზასს ადამიანის კეთილი ბუნების შესახებ, ნერგავდა აზრს ადამიანის ბუნების თავდაპირველ, ონტოლოგიურ ცოდვილიანობაზე, რის მიზეზსაც ბიბლიურ ცოდვით დაცემაში ხედავდა და ადამიანის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად რელიგიური დოგმების დაცვა ესახებოდა [5, 10-11], რადგან არსებული სინამდვილის მანკიერებას ქრისტიანული რწმენის დავიწყებას უკავშირებდა.

მაშასადამე, ბაროკოს ეპოქის რთულ ვითარებას, მის წარმომადგენელთა განწყობილებებსა და ნააზრევს რომ დავუბრუნდეთ, გამოდის, რომ ადამიანი, თავისი ცხოვრების ყველაზე კრიზისულ წუთებში, როდესაც ცხოვრებაში გაბატონებული ბოროტების ფესვის ძიებას იწყებს, უბრუნდება იმას, საიდანაც ქრისტიანისათვის ყველაფერი დაიწყო, ანუ დაბადების წიგნს. სწორედ ადამისა და ევას ბიბლიური ამბავი აძლევდა პასუხს ყველა იმ შეკითხვაზე, რომლებიც ბაროკოს ადამიანს აწვალებდა და სტანჯავდა, რაზე პასუხის გაცემაც აუცილებელი იყო, რათა ნაპოვნი ყოფილიყო მთავარი – მიზეზთა მიზეზი ყოველი უბედურებისა.

ადამიანის ბიბლიური კონცეფცია, რომელიც ცოდვით დაცემის ძველი აღთქმისეულ ამბავს ეფუძნება, ევროპული ბაროკოს მრავალ ავტორთან აისახა; აღსანიშნავია, რომ ეს ნაწარმოებები ჟანრობრივად ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებო ნაწარმოები, რომელიც ესპანელ მწერალს, მატეო ალემანის (1547-16161) ეკუთვნის, არის "გუსმან დე ალფარაჩეს ცხოვრების აღწერა", რომელიც 1599-1604 წლებში დაიწერა. ეს არის პიკარესკა, ე.წ. „გაიძვერული რომანი", რომელიც რენესანსულ ლიტერატურაში აღმოცენდა და აღორძინების ხანაში გამოირჩეოდა არსებული სინამდვილის ღრმა, უკომპრომისო კრიტიკით. ალემანი პესიმისტურად აფასებდა რეალობის შეცვლისა თუ გადაკეთების პერსპექტივას. "გუსმან დე ალფარაჩე" განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, **რომ მის მეორე ნაწილში უკვე არის პირდაპირი პოლემიკა რენესანსის ჰუმანისტურ პრინციპებთან. აქ სულ უფრო ხშირად ჩნდება მსჯელობა ადამიანის ბუნების თავდაპირველ ცოდვილიანობაზე,** რომელიც კარდინალურად ეწინააღმდეგება რენესანსულ წარმოდგენას ადამიანის კეთილი ბუნების შესახებ და ჩნდება დისჰარმონიულობის გრძნობა გარე სამყაროს მიმართ. ნაწარმოებში აღწერილია მთავარი გმირის ღრმა ზნეობრივი დაცემა, რომელიც თავისი სიცოცხლის გზას კატორღული სამუშაოებით ამთავრებს და, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, მას საკმაოდ მოულოდნელი ფინალი აქვს: იგი უფსკრულში გადაიჩეხება "ღვთაებრივი მადლის" წყალობით, რაც ცოდვილის სულის ხსნითა და მისი რელიგიური გარდასახვით მთავრდება: ამგვარი ფინალი კი სრულიად შეესაბამება ბაროკოს აზროვნებას, რომელიც ღრმად რელიგიური იყო.

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით საინტერესოა **რელიგიური აღორძინების** გავლენის შესწავლა ლიტერატურული ჟანრების განვითარებაზე. მან ასახვა ჰპოვა ორატორულ ჟანრზე, მოთხრობაზე, ისეთ ეპიკურ ნაწარმოებებზე, როგორებიცაა ტასოს, დიუ ბარტას, ფლეტჩერის, ჰეივუდის და მილტონის თხზულებები, აყვავდა მარტიროლოგიური ტრაგედიები და რელიგიური პოეზია [4, 102].

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სპეციალისტთა დაკვირვება, რომ ბაროკოს ეპოქაში, რომელიც საერთოდ უაღრესად რელიგიური იყო, ბიბლიური თემებიდან განსაკუთრებული პოპულარობით ადამისა და ევას ამბავი სარგებლობდა. ამ თემაზეა შექმნილი ანდრეონის "ადამი", ვონდელის "ლიუციფერი" და "განდევნილი ადამი", მილტონის "დაკარგული სამოთხე" [4, 135] ამ თემის ლიტერატურულად გაფორმების პირველობა ბაროკოს ეპოქაში ეკუთვნის ფრანგული ბაროკოს ერთ-ერთ უდიდეს წარმოადგენელს დიუ ბარტას, რომელმაც შექმნა ვრცელი პოემა "პირველი კვირა, ანუ სამყაროს შექმნა" (1578). ამ ნაწარმოების პოპულარობაზე მეტყველებს ის, რომ ექვსი წლის განმავლობაში იგი ოცდაათჯერ გამოიცა და მალევე ითარგმნა ჰოლანდიურ, ესპანურ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. მისი გავლენა უდავოა მილტონის "დაკარგულ სამოთხეზე" და ამავე თემაზე შექმნილ ვონდელის ნაწარმოებზეც [4, 149]. დიუ ბარტას პოემა "პირველი კვირა, ანუ სამყაროს შექმნა" მოგვითხრობს დაბადების ამბებს და აქცენტი კეთდება ქაოსიდან წესრიგის შექმნაზე, ეს კი გაგებულია, როგორც ცვალებადობა ანუ მეტამორფოზა. ღმერთმა შექმნა მატერია და სინათლე, შემდეგ მან ფორმა მისცა სამყაროს, დააცალკევა ელემენტები, გაანაწილა ცაზე ვარსკვლავები, განალაგა ზღვები და მდინარეები, დაასახლა წყალი, ხმელეთი და ჰაერი უამრავი სხვადასხვა ცხოველითა და ფრინველით და ბოლოს თიხისაგან შექმნა ადამიანი, ჯერ კაცი, შემდეგ კი ქალი. სამყარო შექმნილია და ღმერთი ისვენებს. დიუ ბარტა პოემაში სამყაროს შექმნას წარმოადგენს, როგორც ღმერთის მიერ შექმნილ სურათს, თავად ღმერთს კი მხატვრად სახავს. სამყარო "უსასრულო პეიზაჟია", ღმერთი ისვენებს და "კმაყოფილია თავისი შრომით". მეტამორფოზა ანუ ცვალებადობა აღნიშნავს მუდმივ მოძრაობაში მყოფ სამყაროს. "პირველ კვირაში" ხდება სამყაროს შექმნა, "მეორე კვირაში", რომელიც არ დასრულებულა, მოგვითხრობს ადამიანის ამბავს. საბოლოო ჯამში ეს არის თხრობა მოძრაობის უწყვეტობაზე, რომელიც მოიცავს დროს დაბადებიდან განკითხვის დღემდე. უმნიშვნელოვანესი რამ, რისი თქმაც ავტორს სურს, არის ის, რომ წარღვნა არის ცოდვილი ადამიანის სასჯელი, წარღვნის შედეგად ფორმადაკარგული სამყარო კი აშორებს ადამიანს ღვთისაგან, მაშინ, როდესაც პირიქით, ღვთაებრივი მადლი აღადგენს სამყაროს ფორმას. მაშასადამე, სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ფორმადაკარგული სამყარო იგივეა, რაც სამყარო ღვთის გარეშე. ეს არის დიუ ბარტს მიერ გადმოცემული სამყაროს შექმნის ცვალებადობის ანუ მეტამორფოზიდან გამოსატანი გაკვეთილი [2,104-108].

ცოდვით დაცემის თემა ერთ-ერთი საკვანძო იყო ბაროკოს ლიტერატურაში, რომელსაც იგი სხვადასხვა ასპექტით წარმოაჩენდა და სხვადასხვა მიზნებს უსახავდა: [9, 177]. ე.წ. „აღორძინების" პერიოდის ლიტერატურაში გამძაფრდა პესიმიზმის შეგრძნება; „ბევრი არაა ისეთი პოეტი – წერს კ.კეკელიძე, – რომელიც უარყოფითად არ უყურებდეს ცხოვრებას და არა ჰქოლავდეს მას" [6, 320]. „სოფლის მდურვის" მოტივს, რომელიც დამოუკიდებელი თხზულების თემა ხდება, რა თქმა უნდა, განხორციელებისათვის შესაფერისი ფორმა სჭირდება. ასეთი ფორმა თეიმურაზმა შექმნა – ესაა გაბაასების ჟანრი: კ. კეკელიძემ საგანგებოდ გამოჰყო თეიმურაზის დამსახურება ამ მხრივ: „უფრო დიდია თეიმურაზის დამსახურება ლიტერტურული ჟანრის თვალსაზრისით", რამდენადაც ამ მიმართულებით ბევრი სიახლე შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში; უპირველეს ყოვლისა ესაა გაბაასების ჟანრი: „გაბაასება ანუ გაბჭობა დიალოგური ფორმაა. . . ეს ჟანრი დაკანონდა ჩვენში და გამოყენებულ იქნა შემდეგი დროის მწერლების მიერ, როგორიც არიან არჩილ მეფე, თეიმურაზ მეორე, დავით გურამიშვილი და სხვ". მკვლევარი აღნიშნავს, რომ ეს ჟანრი XI საუკუნიდან იყო ცნობილი სპარსულ ლიტერატურაში, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მეცნიერი პარალელს ავლებს ევროპასთანაც, სადაც გაბაასების ჟანრი შუასაუკუნეთა პოეტურ შემოქმედებას უკავშირდება: „ის ცნობილი იყო აგრეთვე ევროპაშიც, განსაკუთრებით პროვანსის ტრუვერებს შორის" [6, 570-571]. აქ კ.კეკელიძე პირდაპირ მიუთითებს გაბაასების ჟანრის კავშირზე შუასაუკუნეების ლიტერატურასთან, რასაც დღეს ტიპოლოგიურ ანალოგიას ვუწოდებთ[1].

კ.კეკელიძე არჩილის პოემას „გაბაასება კაცისა და სოფლისა" განსაზღვრავს, როგორც „დიდაქტიკურ-მორალური ჟანრის ლირიკას" [6, 575] – მორალიტეს.

ბაროკოს აღნიშნულ კონტექსტში სოფლის ცვალებადობის, სიავის და „ჭრელობის" თემა საინტერესოდ აისახა არჩილის თხზულებაში – "გაბაასება კაცისა და სოფლისა" (1684) [1, 34-

[1] ამ საკითხის შესახებ იხ. ჩვენი სტატია "გაბაასების ჟანრის შესწავლის ისტორიისათვის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში", *პერსპექტივა–XXI,* VII (2), 2005, თბ., გვ. 122-127.

84], სადაც ავტორი აქცენტს აკეთებს "სოფლსა" და "კაცის" ურთიერთობზე და მიზნად ისახავს გაარკვიოს, რას ედავებიან ისინი ერთმანეთს და რად ესახება კაცს სოფელი უნდოდ და გაუტანლად. თხზულება მეტად მნიშვნელოვანია იმით, რომ აქ პირველ პლანზეა წამოწეული ადამიანის განზოგადოებული სახე: კრებით სახეში გაერთიანებულია ადამიანის ცხოვრების წესისათვის დამახასიათებელი ყველა მხარე და ქცევა. ნაწარმოებში წარმოდგენილი დროის პანორამა მეტად ვრცელია – მოყოლებული შესაქმის წიგნიდან თავად ავტორის დრომდე, რასაც არჩილი მიზანდასახულად აკეთებს: მას მიზეზთა მიზეზის მიგნება სურს. იგი ხატავს სამყაროს ერთგვარ სურათს დინამიკაში, რომელიც მთლიანად ქრისტიანული ტრადიციის ფარგლებში არის გააზრებული. „გაბაასებაში" იმდენად ადამიანის ან სოფლის დამნაშავეობა-უდანაშაულობაზე კი არ არის საუბარი, არამედ იმაზე, თუ ვისი როლია გადამწყვეტი იმაში, რომ ცხოვრება ანუ „სოფელი" სწორედ ასეთია და არა სხვაგვარი. აქ მეტად მნიშვნელოვანია კორნელი კეკელიძის დებულება ამ პერიოდის ლიტერატურაში თემატიკის გაფართოების შესახებ: არჩილი გაბაასების ყველაზე ვრცელ ნაწილში, 71-ე სტროფიდან დაწყებული, რომელიც დიალოგში წარმოდგენილია, როგორც „სიტყვა კაცთა", უკვე მისი თანამედროვეობის ცხოვრების სურათს წარმოსახავს: „ცხოვრების ახალმა სიომ მოითხოვა მწერლობაში თემატიკის გაფართოება იქამდის, რომ ლიტერატურაში გაბედულად და მკაფიოდ წამოყენებულია პრობლემა სოციალური ბოროტებისა და უთანასწორობის შესახებაც კი. რით აიხსნება, რომ ერთი ღარიბია და უბედური, მეორე კი მდიდარი და თითქოს ბედნიერი („გაბაასება წუთისოფელთან", განსაკუთრებით არჩილისა)? მართალია, საკითხი გადაჭრილია ქრისტიანული მორალის თვალსაზრისით, მაგრამ ამ დროისათვის ჩვენში თვით საკითხის დასმაც სიმპტომატურ და საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს" [6, 316].

„გაბაასება" მთლიანად 358 სტროფისაგან შედგება. რაც შეეხება ნაწარმოების სტრუქტურას, იგი მოიცავს რამდენიმე მონაკვეთს, რომლებიც არათანაბარია მოცულობით და შემდეგნაირად არის დალაგებული: ძალზედ მნიშვნელოვანია პირველი სტროფი, რომლითაც თხზულება იწყება. იგი ეკუთვნის დავით ჯაფარიძეს, ამას თავად ავტორი ამცნობს მკითხველს და დასძენს, რომ მთელი "გაბაასება" ამ ერთი სტროფით არის ინსპირირებული. შემდეგ მოდის უკვე არჩილისეული ტექსტი სათაურით "აქა იწყების შესავალი", რომელიც ოთხი სტროფისაგან შედგება და სადაც ავტორი ზოგადად საუბრობს იმაზე, თუ რას ედავებიან ერთმანეთს კაცი და სოფელი და მხოლოდ ამ მონაკვეთის შემდეგ იწყება უშუალოდ კაცისა და სოფლის გაბაასება. კაცისა და სოფლის გაბაასება განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის, რომ ადამიანი იქ სამი იპოსტასით არის წარმოდგენილი: ესაა „ადამი" [სტრ. 5-60], „ადამის შვილები" [სტრ. 64-68] და „კაცნი" [სტრ. 71-225] ანუ საერთოდ ადამიანთა მოდგმა. მაშასადამე, არჩილს ამ თხზულებაში დინამიკაში აქვს მოცემული ბიბლიური წარმოდგენა ადამიანის განვითარების შესახებ, რამაც გამოხატულება ჰპოვა იმაში, რომ ნაწარმოების ერთი დიდი მონაკვეთი მთლიანად ამ იდეის დაწვრილებით გადმოცემას ეძღვნება და შესაბამისად „გაბაასებაში" ქრონოლოგიურად შემოდის ჯერ „ადამი", შემდეგ „ადამის შვილენი", ხოლო ბოლოს – „კაცნი", რითაც ავტორმა ხაზი გაუსვა თავის დამოკიდებულებას საკითხისადმი მისი თანამედროვეობის თვალსაზრისით. შესაბამისად, ვიღებთ შემდეგ სურათს: 1. ადამი სამოთხეში და მის მიერ შეცოდება, 2. ადამი და მისი მოდგმა ცოდვის ჩადენის შემდეგ და 3. ადამიანები ანუ „კაცნი" ქრისტეს მიერ მათი ცოდვის გამოსყიდვის შემდეგ.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს შემდეგი: „გაბაასებაში" სოფელს ეკუთვნის 207 სტროფი, ადამს, მის შთამომავლებს და კაცს – 137: სტროფთა განაწილებაში დისპროპორცია მეტად თვალსაჩინოა. შემდეგ მოდის თხზულების ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც შეიცავს სფლის მიერ კაცთა დამოძღვრას ანუ "სწავლის" ციკლს, რომელიც მთლიანად შედგება 55 სტროფისაგან, ამას მოსდევს კიდევ 39 სტროფიანი მონაკვეთი სათაურით "აწ კიდევ კაცთაგან სოფლის სამდურავი" [სტრ. 311-349] და ბოლო დამაჯამებელი ცხრა სტროფი.

გაბაასებაში კაცი უჩივის სოფელს, რომ ის მუხთალი, ცრუ, უნდო, წარმავალია და მისგან კაცს სიტკბოზე მეტი სიმწარე ხვდება. სოფელი ამაში თავად კაცს ადანაშაულებს, რადგანაც ის სოფლის ბატონ-პატრონად იყო დადგენილი, მაგრამ იმის გამო, რომ ღვთის მცნებას გარდახდა, ყოველივე დაკარგა:

> პასუხი სოფლის: კაცო, შენ ღვთის მსგავსად რადმე შექმნილო,
> ჩემად და ჩემთა ნივთთაზე უფლად და მთავრად განზრდილო,
> ვა შენ, რომ მცნებას გარდაჰხე, ბოლო კარგა ხანს დაქნილო,

განშიშვლდი დიდებისაგან, უგუნურ პირუტყვად ქმნილო (6).

საყურადღებოა ის არგუმენტები, რომლებიც არჩილს მოჰყავს როგორც „სოფლის", ისე „კაცის" პოზიციებიდან. თავიდანვე კაცი სოფელს ზოგადად ადანაშაულებს იმაში, რომ იგი მუხთალი და პირმოთნეა, დასაწყისიდან სიკვდილამდე წუთისოფელი მრუდედ მიედინება და ბრძენთათვისაც კი ამოუცნობია მისი უსამართლობა. სოფელი კი პასუხობს, რომ მას, ღვთის მსგავსად შექმნილს, სოფელზე უნდა ებატონა, ის კი მცნებას გარდავიდა, რის შედეგადაც დაკარგა დიდება და პირუტყვს დაემსგავსა. როგორც შემდეგ გამოჩნდება, არჩილისეულ ადამიანის გაგებაში უმთავრესი ის არგუმენტებია, რომლითაც სოფელი აპელირებს. მაგალითად, სოფელი კაცს მრავალგზის სხვადასხვა კონტექსტში მოაგონებს, რომ მას თავისუფალი ნება ჰქონდა და შეეძლო გაეკეთებინა არჩევანი კეთილსა და ბოროტს შორის, რადგანაც თავისი თავის უფლად იყო დადგენილი: "თავის თავისა უფალმან ბოროტს რად უწყე მფლობლობა?" (39,4), "შენ ხარ თავის ნების მქმნელი" (61,1). მაგრამ თემის მიზანდასახულებიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია, რაც შეიძლება დაწვრილებით წარმოვადგინოთ კამათის ძირითადი მომენტები და ამისათვის გაბაასება თავად არჩილის მიერ ჩაფიქრებული თანამიმდევრობით გადმოვცეთ, ესენია: "ადამი" და "სოფელი", "ადამის შვილნი" და "სოფელი" და "კაცნი" და სოფელი"; ანუ აქ უცვლელად შევინარჩუნეთ ის დასახელებები, რაც არჩილმა თავად შეარჩია და არამიზანშეწონილად ჩავთვალეთ გაგვეერთიანებინა ისინი საერთოდ კაცისა თუ ადამიანის ზოგადი სახელით, რაც აზრობრივ და კონცეპტუალურ აღრევას გამოიწვევდა.

ამ მხრივ შემდეგ სურათს ვიღებთ: პირველი კაცის, ანუ **ადამის არგუმენტები**ა: იგი ემდურის სოფელს, რომ მისმა ნაყოფმა „მოწყლა" და რომ მწარეს ტკბილად, ხოლო წარსაწყმედელ საქმეს საამოდ უჩვენებს. ადამი სოფელს იმაშიც ადანაშაულებს, რომ იგი მტერს დაეხმარა უკეთური საქმის ჩადენაში და რომ სწორედ სოფლის მიერ გამოღებული ნაყოფით – ვაშლით – მოხდა მისი, ადამის, შეჩვენება, ხოლო სოფელი კი წინ არ აღუდგა სატანას; გველი, რომელმაც იგი აცთუნა, სოფელში ბუდობს და ამიტომაც მიაჩნია, რომ სოფელია დამნაშავე, რომ იგი შეცდა. ადამი ეძებს „ცთომის" – კურთხევის ნაცვლად წყევის და სირცხვილის, დიდებისაგან განძარცვის, პატივისგან უპატიოდ შექმნის მიზეზს და ყველაფერ ამაში ადანაშაულებს სოფელს, თან ძალზედ წუხს, რომ ედემს მოსვენებით ჯდომის ნაცვლად უნდა იშრომოს, რათა თავი ირჩინოს. ადამი იმაშიც სოფელს ადანაშაულებს, რომ გველმა ევა აცთუნა, რადანაც ვერ წარმოედგინა, რომ მის შემწედ გაჩენილი ევა თავის მხრივ მას აცთუნებდა. პირველი კაცი სოფელს იმაშიც სდებს ბრალს, რომ თუ სოფელს მისთვის ვნების მიყენება არ სურდა, მაშინ რაღატომ მისცა თავისი ნაყოფი ადამის მტერს. თავად კი თავს იმით იმართლებს, რომ მიმნდობი აღმოჩნდა. ადამი ეძებს პასუხს კითხვაზე, თუკი იგი სრულყოფილი დაიბადა და ბუნებით სიცრუე არ ერია მასში, მაშ საიდან გაუჩნდა იგი და ამაშიც სოფელს ადანაშაულებს:

მაშ, თუ სრული დავიბადე და სიცრუე არ გამომყვა,
ეგზომ დიდი და უმსგავსო ავი შენზედ, თქვი, რით მომყვა?
თუ ბუნებით არა მქონდა, რახან აღვდეგ, რად თან ამყვა?
მაგით უფრო არ შენ მომკალ, ნივთთა შერთვით თუ არა მყვა? (41).

შემდეგ კი ეჭვს იმაზეც გამოთქვამს, რომ "სრული" დაიბადა; ადამს ეს შეუძლებლად იმიტომ მიაჩნია, რომ მასში სოფლის "ნივთის" ნაწილი ურევია:

შეუკვდემლად მუხანათო, ვითარ სრული დავიბადე?
შენის ნივთის ნაწილითა არ ამ სახით დავიბადე?
ეგზომისა სიცრუვისგან წილს არ მიდებ? ადე, ადე!
ჰაი, სტყუი, მირევიხარ, მისთვის ასრე გავიხადე (45).

ხოლო თუ ადამი ღმერთმა სრულყოფილი შექმნა, მაშინ სოფელი უფრო დამნაშავეა ადამის შეცოდებაში: ადამს იმიტომ წაერთვა დიდება, რომ სოფლის მტვრისგან არის შექმნილი და თუ სიცრუე ბუნებით არ ახლდა, სოფლისაგან მიუღია იგი. ადამი თავის ცთომაში ისევ სოფელს ადანაშაულებს და მასვე სდებს ბრალს თავის შვილთა მტრობაში.

მაშასადამე, ადამი საკუთარი თავის გასამართლებლად და პასუხისმგებლობის ასაცილებლად ყველგან და ყველაფერში ეძებს თავისი უბედობის მიზეზს და თვლის, რომ

პოულობს კიდეც დამნაშავეებს: ეს ხან სატანაა, ხან გველი, ხან ევა, ხანაც ხილი და რაც უმთავრესია, სოფელი, რომელიც ადამის წარმოდგენაში მისი მთავარი მტერია.

სოფლის არგუმენტები ბიბლიურ წარმოდგენებს ემყარება: სოფელი მიმართავს ადამს, რომ უბრალოს ტყუილად ადანაშაულებს, რომ იგი, სოფელი, მისთვის იყო შექმნილი, მან კი ვერ შეიფერა: "ღვთისგან შევიქმენ საშენოდ, შენ თავს რად ვერ ამიხველო?" (8,4). სოფლის ნაყოფმა კი არ მოკლა ადამი, არამედ ღვთის მცნების გარდახდომამ – სინამდვილეში, მან ევას რჩევით დაკარგა ედემი.

სოფელი ცდილობს აუხსნას ადამს, რომ იგი დაისაჯა იმიტომ, რომ უსმინა მოშურნე მტერს და არა შემოქმედს; ცდილობს შეაგნებინოს, თუ რაოდენ უზომოდ დიდ წყალობა უყო უფალმა ადამს იმით, რომ მას ედემი უბოძა. აქ შესაქმის წიგნის მიხედვით არის გალექსილი სამყაროს შექმნის ამბავი, რათა უფრო თვალსაჩინო იყოს, თუ როგორი ფუფუნებით ცხოვრება ჰქონდა განმზადებული მას ედემში. ამ თემას არჩილი საკმაოდ ვრცლად წარმოადგენს და ვფიქრობთ, ამგვარი დეტალიზაციით იგი ცდილობს, რაც შეიძლება უფრო მეტად მიაქცევინოს მკითხველს ყურადღება იმაზე, თუ რაოდენი პატივი ვერ შეიფერა პირველმა ადამიანმა (სტრ. 20-28):

ოდეს ღმერთმან ერთმან, წმინდამ, გვამოვანებით სამებულმან,
პირებითა განყოფილმან, ნებით სწორად დადებულმან –
მამამ, ძემ და სულმან წმიდამ – სამთავ ერთად დიდებულმან
არასაგან არსი შექმნა ერთმანეთზედ კიდებულმან (20):

აჰა, ადამ, აქ იხილე შენზედ მისი მოწყალება:
არ დაგბადა ბნელსა შინა, ცეცხლის გინდეს რამ ალება.
არც შეუმკობს ცასა ქვეშე, ან მე მაკლს რა ნივთთა ხლება?
მაგრამ საქმე ასეთი ჰქმენ, მოგვიანოდ გეშველება (23),

ხატებითა გცა პატივი, სული შთაგბერა ცხოველი
უფალ – თევზთა და ფრინველთა, მხეცთა და რაც არს ცხოველი;
შიში და ზარი დაადვა და დაგამონა ყოველი.
რად აღირჩიე ამის წილ, ვაგლახ მე, შენ სამოელი? (26)

ესოდენსა პატივსა ღირს-გყო და არ შეირაცხე;
ერთის ხილისა არ-ჭამა რად არ ისმინე, გაჰკიცხე?
გაგემარჯვება, გვიჩვენე, თუ გვჯობდა ყველას ერთი ხე!
მისი მსგავსი სიცრუე, არ ვიცი, ვისით მოიცხე (28).

სოფელი გაახსენებს ადამს, რომ მან ვერ დააფასა ყოველივე ეს და ერთადერთი აკრძალვა, რომელიც ჰქონდა ღვთისაგან დადგენილი, დაარღვია. ცდილობს აუხსნას, რომ იგი, ადამი, გონიერია და ღვთის ხატად შექმნილი, მან კი იმას გაუწია ურჩობა, ვინც მას პატივი სცა. იმასაც ეუბნება, რომ ქალს ტყუილად აბრალებს, რადგან ღმერთმა ის ადამის შემწედ შექმნა. როდესაც სამოელმა და სატანამ ამპარტავნება განიზრახეს, ანგელოზის ბუნებას დასცილდნენ და უფლის მიერ დადებულ ზღვარს გარდახდნენ, ისინი ზეციდან გადმოცვივდნენ და უფსკრულში გადაიჩეხნენ, ნათლის ნაცვლად ბნელში აღმოჩნდნენ და ანგელოზი ეშმაკად იქცა. ღმერთმა ადამს დიდი პატივი მიაგო, მიწიერთა უფლად დაადგინა, ოღონდ ამცნო, რომ უნდა ჰქონოდა შიში უფლისა; ადამი და ევა არ უნდა გადასცდენოდნენ მის ბრძანებას და შესაფერისი მადლიერება შეეწირათ მისთვის. უფალმა საზღვარი დაუდგინა ადამს, ნუ მეურჩები, ურჩობის ნაყოფს ნუ შეეხები, თორემ თუ შეჭამ, მაშინვე მოკვდებიო. ამის მსმენელ მაცთურს შურდა ადამის დიდება და განიზრახა მცნებების გარდახდომაზე დაეყოლიებინა იგი, ადამმაც დაუჯერა მტერს და ამიტომაც გახდა მოკვდავი, მრავალი სენი იუფლა.

სოფელი კიდევ ერთხელ მოაგონებს, რომ იგი ხილის ჭამის გამო კი არ მოკვდა, არამედ მცნების გარდახდომით და განღმრთობის სურვილით.

ბოლოს აქცენტი კვლავ ადამიანის თავისუფალ ნებაზე კეთდება: სოფელი ისევ და ისევ შეახსენებს ადამს, რომ მას თავისუფალი ნება აქვს, ყოველივე რაც შემოქმედმა შექმნა, მისთვის არის განკუთვნილი და მხოლოდ იგი, ადამი არის მინდობილი თავის ნებას.

ასე სრულდება დიალოგი ადამსა და სოფელს შორის და ამის შემდეგ გაბაასებაში „ადამის შვილნი“ შემოდიან: არჩილის ჩანაფიქრით ეს არის კაცობრიობა ქვეყნად მაცხოვრის მოვლინებამდე; ეს მონაკვეთი ძალიან მოკლეა (სტრ. 64-68).

ადამის შვილთა არგუმენტები არჩილს შემდეგნაირად აქვს გააზრებული: ადამის შვილნი ჩივიან, რომ სოფელმა თავდაპირველად მათი მამა შეაცდინა, სიცრუეს მიაჩვია და სიმართლე განადევნინა. მას შემდეგ, რაც სოფელმა ადამი აცთუნა, მას „სიცრუის ნაგრეხი” წნელივით ყელზე მოედო, ღმერთს განშრდა, სიცრუე მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა და ყოველივე ეს მის შვილებსაც უწილადა. რადგანაც ყოველივე, რაც კი არსებობს, თავის წინაპარს ემსგავსება, ზოგი კარგ ნაყოფს იძლევა, ზოგი კი – უვარგისს და მშობლები თავის შვილებს თავისი საქციელის მიხედვით ზრდიან. ადამის შვილები ამბობენ, რომ როგორც ნაყოფი ფესვიდან მოდის, ისე ისინიც ადამის ფესვიდან მოდიან და სოფლის მიერ ადამის ცთომა მათშიაც არის: მათ ცთუნებას ისინი აბრალებენ სოფელს, რომელიც ყოველდღე იცვლება, ხოლო თუკი მას მოიძულებენ, მათ შესაცთენად მლიქვნელობას მიმართავს.

სოფელი ისევ და ისევ ადამსა და ევას ადანაშაულებს, ადამის მოდგმას კი ურჩევს, რომ მათ არ დაემსგავსონ, რადგანაც მაშინ ადამიანობას დაკარგავენ და პირუტყვებად იქცევიან; ამასთან უსახელებს ოთხ ბიბლიურ პირს – ენოქს, ნოეს, აბრამს და ელიას – როგორც ნიმუშს უფლის ღრმა რწმენისა.

„გაბაასების” შემდგომი კამათი „კაცსა“ და „სოფელს” შორის უკვე მაცხოვრის მოსვლას უკავშირდება. ადამიანები დარწმუნებულები არიან, რომ მათზე მათი მშობლების ცოდვა გადმოვიდა და არ სჯერათ, რომ მათ მიერ დათესილი თესლი შეიძლება სიმართლის ნაყოფის მომცემი იყოს და აქ სოფელი კაცთ მაცხოვრის მოვლინების წყალობით ადამის ცოდვისგან გათავისუფლებას გაახსენებს:

ვინ მას ცთომასა შეუდგეთ, ნანდვილევ ისრევ შესწუხნეთ;
ვინ მე მყვარობდეთ უძღებად, დასჭმუნდეთ, თვალნიც დასწუხნეთ.
რა ჩემის სიყვარულის წილ ქრისტეს სურვილი მიიხვნეთ,
თუ ვინ გმძლავრობდეთ, გმტერობდესთ, აღარა რათი დაინთქნეთ (77).

კაცნი კი პასუხობენ, რომ თუმცა ქრისტე მოვიდა, ჯოჯოხეთიდან აღადგინა ისინი, მაგრამ სოფელი მათ მაინც არ ანებებს თავს და აცთუნებს, დილას თუ ახარებს, საღამოს ატირებს. გახარებულ ადამიანებს სულიერ საქმეებს ავიწყებინებს, ხოლო მწუხარებაში მყოფთ მცონარებას აწყებინებს. ამიტომაც სოფლის გადამკიდე ადამიანები ხშირად ტირიან. აღსანიშნავია, რომ გაბაასების ამ ნაწილში უკვე სოციალური თემატიკა შემოდის.

კაცი ამბობს, რომ მას სიკეთე და სიმდიდრე უნდა, ასევე უნდა ზეცად დამკვიდრებაც, მაგრამ სოფელივე აცდუნებს მას, რადგანაც, თუკი იგი ადამიანს გაამდიდრებს, მას კიდევ უფრო მეტი დიდება სურს (105). სოფელი პასუხად მიუგებს, რომ მათ არ წართმევიათ კეთილისა და ბოროტის გარჩევის უფლება, ორივე მათ ხელშია და მათი ნებაა, რომელს აირჩევენ, აქ სოფელი არაფერ შუაშია, ისინი ღვთის შვილები არიან და არა ობლები:

არ წაგრთმევია უფლება კარგის და ავის მფლობლობა,
ხელმწიფება გაქვს ორისავ, რომლისაც გინდა მპყრობლობა.
რომელიც გინდათ, იმას იქმთ, ჩემზე რასი გაქვსთ ბრალობა?
ძედ ღვთისად გიხმობთ, იჩემოთ, – ვინ დაგიჯეროთ ობლობა? (72).

იმასაც უხსნის, რომ მათ ორი გზა აქვთ: სიცოცხლის და სიკვდილის, რომელსაც თავად აირჩევენ, იმ გზით ივლიან და ურჩევს, უმჯობესი აირჩიონ და არ დაიჯერონ ცრუ მქადაგებლებისა, ამასთან დასძენს, რომ ღვთის გარეშე კეთილი არაფერი ხდება.

სოფელი ადამიანებს მოძღვრავს, რომ თუ ცოდვას ჩაიდენენ, კვლავ შეწუხდებიან, სოფლის უზომო სიყვარული მათ ისევ ჭმუნვას და მწუხარებას მოუტანს და ურჩევს, რომ მისი, სოფლის, სიყვარულის მაგიერ ქრისტე შეიყვარონ და მაშინ მათ მტერი ვეღარ მოერევა.

სოფელი კვლავ შეახსენებს ახსენებს ადამიანებს, რომ ქრისტემ მათი ტვირთი იტვირთა და დაიხსნა ისინი:

ქრისტეს მოსვლამდიც თუ ჰქონდა ადგილი მაგა სიტყვისა,
თორე აწ რა გაქვსთ პასუხი, მიბრძანეთ, ვინ რას იტყვისა!

მან ტვირთი თქვენი იტვირთა, სიმძიმე, რომე იტყვისა;
ღმერთი კაც იქმნა, დაგიხსნათ, ვინ ნებსით თავი იტყვისა (82).

შემოქმედმა მოისურვა ნივთთა განწმენდა, დაიმდაბლა თავი, შემწედ მოევლინა მათ, ადამიანებს, რათა ისინი ეშმაკსათვის არ დაენებებინა. **მარიამის პატივით ევას წყევა აღხოცა, კაცთ საშუალება მისცა ქრისტე შეიმოსონ. (88-90),** რისთვისაც ნათლისღება დააწესა, რისი წყალობითაც ადამიანი ცად ამაღლდება. რადგანაც კაცთ ძველი ადამი განიძარცვეს და ქრისტე შეიმოსეს, ღვთის ძედ იქცნენ და უკვდავება ებოძათ. ქრისტე თავად ივნო, ადამიანებს კი უვნებლობა არგუნა, ამიტომ ცხოვრება და სიკვდილი კაცთ ხელთ აქვთ, რომელიც სურთ, იმას აირჩევენ:

თვით ივნო, თქვენ უვნებლობა მოგცათ წყლით, სულით შობილნო,
ცხოვრებისა და სიკვდილის – ორისავ ახლაც ცნობილნო.
რომელიც გინდათ ხელთა გაქვსთ. რას თავსა მართლობთ, ძმობილნო? (93, 1-3).

ადამი თავს უცოდინრობით იმართლებდა, მის შთამომავლებს კი უკვე აღარ აქვთ თავის მართლების მიზეზი, რადგანაც ორივეს სცნობენ – კარგსაც და ავსაც, ხოლო ცრუ ფიცი კი არავის შერჩება.

სოფელი კაცს ჩააგონებს, ნუ იქნება სულსწრაფი უგუნურობის ჩადენასას და მოძღვრავს, თუ რა იყო იგი, რა არის და რა იქნება. აქ არჩილს ზალიან მკვეთრად სემოაქვს სოციალური თემა: სოფელი არიგებს კაცს, რომ მან არ უნდა დაივიწყოს მდაბალთათვის წყალობის გაცემა. ქონება დასალპობად და მღილთ საჭმელად არ უნდა უნდოდეს, რომ უნდა რცხვენოდეს მშიერთა, როცა თავად ქონება უხმარად უდევს. როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს: “ . . . პოეტს წამოუყენებია ამ სოფლად გაბატონებული ბოროტებისა და უსწორ-მასწორობის პრობლემა: ერთი ღარიბია და უბედური, მეორე მდიდარი და თითქოს ბედნიერი, მაგრამ ეს ბედნიერებაც წუთიერი, განხრწნადი და წარმავალია. ამ მწვავე პრობლემის ასახსნელად და ადამიანის (რა სოციალური მდგომარეობისაც უნდა იყოს ის) დანიშნულების გასათვალისწინებლად ის მიმართავს ქრისტიანულ-თეოლოგიურ ფილოსოფიას და სწუხს, რომ ზოგიერთები მას უგულებელყოფენ” [კ. კეკელიძე 1958: 577].

არჩილის „გაბაასება” ნათლად მეტყველებს, რომ ავტორს ადამიანის დანიშნულების საკითხი მთლიანად ადამიანის ბიბლიური კონცეფციის ასპექტში აქვს განხილული და გააზრებული.

თავისი ნაწარმოებით არჩილი კიდევ ერთხელ შეახსენებს ადამიანებს, თუ სულიერი დაცემისა და განვითარების რა გზა გაიარეს და მოუწოდებს სწორი არჩევანის გაკეთებისაკენ. ადამიანისა და მისი არსის შესახებ კამათი არ წყდება საუკუნეების მანძილზე და ეს ბუნებრივი პროცესია, მაგრამ როდესაც დგება საკითხი, რომ ადამიანი სამყაროს უნიკალური ქმნილებაა, მაშინვე ისმის კითხვა, რა შინაარსი იმალება ამ ფორმულაში. ადამიანის სუვერენულობა ეფუძნება რელიგიურ ფილოსოფიასა და მის თანაზიარობას ღმერთისადმი. ევროპელის ცნობიერებაში ადამიანის ცნებას უკავშირდება იდეათა სამი წრე, რომელთაგან ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ აქ პირველი ადგილი უკავია იუდეურ-ქრისტიანულ ტრადიციას, რომელიც მოგვითხრობს ადამისა და ევას შექმნის, სამოთხისა და ბოლოს ცოდვით დაცემის შესახებ. შემდეგ მოდის ანტიკურ წარმოდგენთა წყება, რომლის თანახმად გონება ადამიანის მთავარი ნიშანია [3, 261-267]. მართლმადიდებლური ტრადიცია ეფუძნება განსხეულებეული იესო ქრისტეს მიერ კაცთა მოდგმის ცოდვის გამოსყიდვის დოგმატს. ქრისტემ ჯვარცმით გამოიხსნა ადამიანთა მოდგმა პირველმშობელთა ცოდვისაგან. მისი თავდადების მხსნელი ნაყოფი ყოველ ადამიანს ებოძება ნათლობითა და სხვა საეკლესიო საიდუმლოებით. ადამიანის ბუნებისა და იპოსტასის ანუ პიროვნების განსხვავებულობის დადგენა უაღრესად მნიშვნელოვანია ადამიანის მდგომარეობის გასარკვევად სამყაროში და იგი სამი ასპექტით განიხილება: 1) ადამიანი სამოთხეში პირველქმნილ მდგომარეობაში; 2) ადამიანის ცოდვით დაცემისა და სამოთხიდან განდევნის შემდეგ; 3) ადამიანი მას შემდეგ, რაც ქრისტემ გამოისყიდა მისი ცოდვები. მეორე ასპექტთან არის დაკავშირებული ის, რომ პირველმა ცოდვამ მართალია, დაამახინჯა ადამანის ბუნება, მაგრამ არ გაუნადგურებია მასში უმაღლესი შემოქმედებითი ძალა, ღვთის სახე, რომელიც აღბეჭდილია ადამიანის მთელს ბუნებაში – სხეულშიც და სულშიც [8, 351].

ჩვენ შევეცადეთ დაწვრილებით გადმოგვეცა „გაბაასების" პერსონაჟთა არგუმენტები, ახლა კი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ უმთავრესზე, რაც ნაწარმოების მიხედვით არჩილისათვის ყველაზე მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს და შემდეგში მდგომარეობს: ადამიანი, რომელიც სოფლის ბატონად იყო დადგენილი, თავისი ავი საქციელის გამო მას მონად ექცა (6). როდესაც ავტორი მსჯელობს ადამიანის ბუნებაზე, იმაზე, თუ რა ეტაპები გაიარა მან, იგი განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმას, რომ პირველ ადამიანს – ადამს ღმერთმა ყოველგვარი სიკეთე უბოძა, მან კი პირობა დაარღვია და სწორედ ამის გამო მოევლინა სასჯელი:

არ წაგრთმევია უფლება კარგის და ავის მფლობელობა,
ხელმწიფება გაქვს ორისავ, რომლისაც გინდათ მპყრობლობა.
რომელიც გინდათ, იმას იქმთ, ჩემზე რასი გაქვთ ბრალობა?
ძედ ღვთისა გიხმობთ, იჩემოთ – ვინ დაგიჯეროსთ ობლობა? (72).

არც ეს იცით: ორი გზა გაქვსთ – სიცოცხლის და სიკვდილისა,
წინა გიძესთ გასავალად სინათლის და სიბნელისა,
რომელიც გთნავსთ, მასზედ წახვალთ, რა საქმეა სიძნელისა?
აღირჩიეთ უმჯობესი, ნუ გსურთ ცრუ მოქადულისა (73).

განსაკუთრებით აღსანიშნავია: არჩილი ყველა შემთხვევაში აქცენტს ადამიანის თავისუფალ ნებაზე აკეთებს.

ეს მიდგომა და ამგვარი დამოკიდებულების დეკლარირება ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან აქ თავს იჩენს რენესანსისა და ბაროკოს მთავარ პრინციპთა დაპირისპირება: რენესანსის ადამიანი ყოვლისშემძლეა, იგი სოფლის მბრძანებელია, ხოლო ბაროკოს ადამიანი დამფრთხალი და შეშინებულია, იგი უძლურია, რამე შეცვალოს უკეთესობისაკენ. ბაროკოს ეპოქის მკვლევარნი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამ დროის ლიტერატურაში ტრანსფორმაცია განიცადა მხატვრული შემეცნების ტიპმა, გაიზარდა ინტერესი ადამიანის პიროვნების მიმართ. რა თქმა უნდა, ადამიანის პიროვნება მუდამ იყო და რჩება მხატვრული დაკვირვებებისა და განსახოვნების საგნად, მაგრამ ბაროკოს ეპოქაში მან ღრმა ცვლილებები განიცადა: უმთავრესი ისაა, რომ იდილიური წარმოდგენები ადამიანის ჰარმონიული ბუნების შესახებ დაიმსხვრა. ბაროკოს ეპოქის შემოქმედებმა უფრო ღრმად ჩაიხედეს ადამიანის სულში და გააცნობიერეს, რომ იგი იხლიჩება მიწიერ და ზეციურ, სულიერ და ხორციელ სწრაფვათა შორის: ადამიანი გაორებულია. სწორედ ადამიანის ეს შინაგანი წინააღმდეგობრიობა გახდა ბაროკოს პოეზიის ლაიტმოტივი [12, 6]. **„გაბაასებიაში" მკაფიოდ არის გამოხატული ბაროკოს ეპოქის უმნიშვნელოვანესი იდეა: ადამიანი სოფლის მბრძანებლიდან, რაც ადამიანის რენესანსული კონცეფციაა, გადაიქცა სოფლის მონად, რაც უკვე ადამიანის ბაროკოსეულ კონცეფციას წარმოადგენს.** მაშასადამე, არჩილი თავისი მსოფლმხედველობით, სამყაროს აღქმით, თემის შერჩევით და მისი მნიშვნელობის შეფასებით ევროპული ბაროკოს სააზროვნო სისტემის სრულ პარალელს წარმოადგენს.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. არჩილი. თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ლექსიკონი და საძიებელი დაურთეს ი. ლოლაშვილმა, ლ. კეკელიძემ, ლ. ძოწენიძემ. გამოკვლევა რ. ბარამიძისა, თბ., 1999
2. Bellenger, Yvonne, La metamorphose dans la "Creation du Monde" de Du Bartas //Acts du Colloque International de Valenciennes, 1979
3. Гуревич, П. , О человеческром в человеке, М., 1991
4. Warner P. Freidrich and col., Outline of Comparative Literature, 1954
5. История зарубежной литературы XVII века, М., 1987
6. კეკელიძე, კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958
7. Д. С. Лихачев. Развитие русской литературы. Л. 1979
8. Митрополит…, О человеческром в человеке, М., 1991
9. Морозов, А. А., Симеон Полоцкий и проблемы восточно-славянского барокко // Барокко в славянских культурах, Наука, М., 1982

10. მაია ნაჭყებია, გაბაასების ჟანრის შესწავლის ისტორიისათვის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში", *პერსპექტივა–XXI,* VII (2), თბ., 2005 „
11. Софронова, Л. А., Принцип отраженся в поэтике барокко //Барокко в славянских культурах, Наука, М., 1982
12. А.И. Рогов. Проблемы славянского барокко // Славянское барокко, Историко-культурные проблемы эпохи. Наука, М., 1979

Maia Nachkebia
Institute of Literature

Archil's „The Debates of the Man and the World" in the Aspect of the Human Being's Baroque Conception

Literature and art of XVII-XVIII centuries represents a very special stage of development, at that time was emerged and reached its culmination _ the Baroque. On the one hand it verge on Renaissance and on the other hand on Classicism.

According to the Renaissance human being by his nature is kind and he come to this world for great deeds, while late Renaissance puts under the question this doctrine. Baroque authors depicted life with all its contradictions. Renaissance idea of man's might was replaced by the Baroque idea of man's weakness and dominant become an idea that it is all in vain to struggle against evil. In Europe this resulted in sense for tragic and pessimism. In Georgian literature of that time to this issue a great attention was paid by the famous poet, King Archil, who wrote a poem entitled *„The Debates of the Man and the World"*, where he examined issue of the Original Sin and its ramifications on the entire life of the mankind. Main characters of the poem are Adam, Adam's children, and men under what is meant all posterity. The conception of work and human being's predestination is based upon the Christian understanding. This is of particular importance as attitude and interest with regard to this topic is common both, for Georgian and for the European Baroque works (Mateo Alemani, Du Bartas, Andreoni, Milton).

In *„The Debates of the Man and the World"* main character, Adam states, that the serpent is guilty, as it tempted him with a fruit, while World explains that Adam was tempted for the following reasons: he was not able to use properly mind and his free will.

Such kind of approach and declaration of such an attitude is important from the point of literary study as here is revealed contrast between the major principles of Baroque and Renaissance: Renaissance men is mighty, he is sovereign of the world, while baroque men is threaten and week, he is powerless to change something for better. In *„ Debates"* clearly is expressed extreemly important idea: men from the sovereign of the world, what is the Renaissance idea, turned into the slave of the world, what is Baroque conception of the human being.